

**ბრძანება  
N03/100**

28 / ივნისი / 2013 წ.

ქ.თბილისი

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის  
მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის N3/164 ბრძანების დანართი N1-  
ში და დანართი N2-ში ცვლილების შეტანის თაობაზე**

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" ნ3-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქ. ქუთაისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 16 ივლისის N3/164 ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) დანართი N1-ში შეტანილი რიგითი ნომერი 157 - "სოლომონ I ქ. N33", ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - "სოლომონ I ქ. N31", შესაბამისად, ამავე ბრძანების დანართი N2-ში, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ ძეგლის საადრიცხვო ბარათში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება: "სოლომონ I ქ. N33" შეიცვალოს შემდეგი რედაქციით - "სოლომონ I ქ. N31" და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. N7).

მინისტრი

გურამ ოდიშარია

სოლომონ I ქ. №31

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო  
ბარათი №



1. სახელწოდება – საცხოვრებელი სახლი
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. ქუთაისი, სოლომონ I-ის ქ. №31
3. სახეობა - არქიტექტურის
4. თარიღი – 1910 წელი